ხელშეკრულება N07/02/12-1 №13

(საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ)

ქ. თბილისი 07.02.2012წ.

ერთის მხრივ სსიპ ქ.თბილისის N62 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მალაზონიას სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს "გ.მ.ფინანს-სერვისი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა ჯაყელის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი", ამ ხელშეკრულებაში წოდებული, როგორც მხარეები ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი:**

1.1.შემსყიდველი ავალებს, ხოლო მიმწოდებელი კისრულობს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შეფასების საერთაშორისო სტანდარტების(IVSC)შესაბამისად მოიპოვოს ინფორმაცია ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ქონებაზე, წარმოდგენილ მასალებზე და მიმწოდებლის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე, ანალიზზე დაყრდნობით, განსაზღვროს შესაფასებელი ქონების საიჯარო ქირის ოდენობა და გასცეს დასკვნა.

1.2. შეფასების მიზანს წარმოადგენს "შემსყიდველის"ქონების საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრა.

1.3 შეფასების საგანს წარმოადგენს ქ.თბილისის სსიპ N62 სკოლაში სპორტული დარბაზის-(200 კვ.მ.) ფართის საათობრივი საიჯარო ქირის საბაზრო ფასი.

2. **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები:**

მიმწოდებელი:

2.1.1. ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის ნორმების, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების(IVSC), შემსყიდველთან დადებული ხელშეკრულების პირობების, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე გასცეს დასკვნა ამ ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 3(სამი)სამუშაო დღის ვადაში.

2.1.2. უფლებამოსილია მიიღოს შემსყიდველის ხელთ არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი, რაც შეეხება ხელშეკრულების საგანს.

2.1.3. დასკვნის მომზადებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, შეფასების საერთაშორისო სტანდარტები, დებულებები და ნორმატიული აქტები.

შემსყიდველი:

2.2.1. ვალდებულია მიმწოდებელს დროულად გადასცეს ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომლის უტყუარობაზე და სისრულეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს.

2.2.2. დროულად აანაზღაუროს ქონების შემფასებლის მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი:

3.1 შემფასებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათ) ლარს.

3.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ანაზღაურება (უნაღდო ანგარიშსწორებით) განხორციელდეს დასკვნის გაცემიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე და ინვოისზე ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან არაუმეტეს 3 (სამი) დღის ვადაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

3.3 გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა:

4.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს ზარალს უნაზღაურებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. მხარეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის მოცულობა არ შეიძლება აღემატებოდეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ოდენობას.

4.3. შესაფასებელი ქონების ფიზიკურ მახასიათებლებზე ინფორმაცია მოწოდებულია შემსყიდველის მიერ, შესაბამისად მიმწოდებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა შეფასებული ქონების ფიზიკური მახასიათებლების სიზუსტეზე, ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია შემსყიდველი.

4.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

4.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

5. ფორს მაჟორი:

5.1.ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არასათანადოდ შესრულება ან დარღვევა და არ გამოიწვევს ზიანის ანაზრაურებას.

5.2.ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" ან/და "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

5.3. ფორ-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების

შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. დავის გადაჭრის წესი:

6.1. ამ ხელშეკრულების შესრულების დროს მხარეებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

6.2. მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცეს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

7. მიღება-ჩაბარების წესი:

7.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად დასკვნის გადაცემის და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ, რომელიც დადასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

8. ხარისხი:

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას,რომ მომსახურების ხარისხი შეესაბამება შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და ხელშეკრულების პირობებს

9. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულებაში დამატებები და ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს წერილობითი ფორმით და ძალაში შედის მხოლოდ ორივე მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

9.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ერთი ინახება შემსყიდველთან, მეორე მიმწოდებელთან.

10.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

მიმწოდებელი	შემსყიდველი:
შპს "გ.მ.ფინანს-სერვისი" დირექტორი: ბექა ჯაყელი	სსიპ ქ.თბილისის 62 საჯარო სკოლა დირექტორი: თამარ მალაზონია
მის:გლდანი.1 მკ/რ.მ.ს ."ახმეტელი"-ს	მის: შარტავას №20
მიმდებარე ტერიტორია .	ს/კ211351605
ს/კ 200233746	ტელ:577123410
ტელ. 599750700	ბანკის რეკვიზიტები:
ბანკის რეკვიზიტები:	ლიბერთი ბანკი
კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
სს "თიბისი ბანკის"ვაკის ფილიალი. ა/ა GE65TB7075436080100004	ა/ა GE31LB0121134002649000

ხელმოწერა/ბეჭედი:

ხელმოწერა/ბეჭედი: